სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 41

2011 წლის 21 ივნისი

ქ. თბილისი

„ქართული ეროვნული სამოსის კვლევის"
2011 წლის კონკურსის
გამოცხადებისა და კონკურსის პირობების, კონკურსში მონაწილეობის შესახებ პროექტის წარმომდგენი მკვლევართა ჯგუფის წევრების, საბაზო ორგანიზაციისა და თანადამფინასებლის ერთობლივი განცხადების ფორმისა და საპროექტო წინადადების ფორმის დამტკიცების შესახებ

,,მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24[1] მუხლის, ,,სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის - ,,ქართული ეროვნული სამოსის კვლევის" დებულებისა და საგრანტო კონკურსის შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 15 ივნისის №103/ნ ბრძანების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველი ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ", ,,ე" და ,,თ" ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ – შოთა რუსთაველი ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს 2011 წლის 2 აპრილის №03 ოქმის (გადაწყვეტილების) გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2011 წლის 21 ივნისს ,,ქართული ეროვნული სამოსის კვლევის" კონკურსი. სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2011 წლის 26 ივლისის 18 საათი.
2. დამტკიცდეს ,,ქართული ეროვნული სამოსის კვლევის" 2011 წლის კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად.

3. დამტკიცდეს „კონკურსში მონაწილეობის შესახებ პროექტის წარმომდგენი მკვლევართა ჯგუფის წევრების, საბაზო ორგანიზაციისა და თანადამფინასებლის ერთობლივი განცხადების ფორმა“ ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად.
4. დამტკიცდეს საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად.
3. დაევალოს ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორს (თ. გორგოძეს) წინამდებარე ბრძანების საჯარო გაცნობისათვის განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge.
4. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

სულხან სისაური